საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 2720

29/05/2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის, “დაწესებულებისთვის ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების, ამ სტატუსის გაუქმებისა და ავტორიზებული პირის მიერ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისთვის – „საქპატენტისთვის“ ინფორმაციის მიწოდების წესის განსაზღვრის შესახებ’’ სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 21 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 2024 წლის 2 მაისის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №9088/01-07-03 (საქპატენტში რეგისტრაციის №2297) წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მხედველობის, ფიზიკური შესაძლებლობის, აღქმის ან ბეჭდური ნაწარმოების კითხვისთვის საჭირო სხვა უნარის ისეთი დარღვევის მქონე პირის სასარგებლოდ, რომელსაც ბეჭდური ნაწარმოების სხვა პირის თანაბრად კითხვა არ შეუძლია, საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ბეჭდური ნაწარმოების ნებადართული გამოყენებისთვის ავტორიზებული პირის სტატუსი მიენიჭოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო